



მონაცემთა გაცვლის
სარგანსო

WWW.MY.GOV.GE

საინფორმაციო ფურცელი

გამოშვება #72 მარტი, 2019

გამოშვებაში

CERT-GOV-GE-ის
"BLACKLISTS"


განახლებული

სერვისი

CERT-GOV-GE-ის 1
განახლებული
სერვისი –
"BLACKLISTS"

2
„მონაცემთა
გაცვლის
სარგანსო“
კვალიფიციური
სანდო
მომსახურების,
ელექტრონული
სერვისების
ერთიანი
პორტალისა
(MY.GOV.GE) და
კიბერპიციენის
შესახებ
ტრენინგების
ციკლს
რეგიონებში
აგრძელებს

3
„მონაცემთა
გაცვლის
სარგანსო“
შემოსავლების
სამსახურის
თანამშრომლების
თვის ტრენინგი
ჩაატარა



საქართველოს იუსტიციის
სამინისტროს სსიპ „მონაცემთა
გაცვლის სარგანსო“
სამთავრობო კომპიუტერულ
ინციდენტებზე სწრაფი
დახმარების ჯგუფი CERT-GOV-GE
დაინტერესებულ
ორგანიზაციებს სთავაზობს ე.წ.

„შავი სიების“ მუდმივად განახლებადი სერვისის მიწოდებას.

შავ სიებში შესულია ისეთი IP და ვებგვერდების მისამართები, რომლებიც ავრცელებენ სხვადასხვა სახის ვირუსს, შეიცავენ პორნოგრაფიულ მასალას ან წარმოადგენენ კომპიუტერების სამართავ დავირუსებულ ცენტრებს (C&C).

აღნიშნულ სიებში შესული IP მისამართებისა და ვებგვერდების ბლოკირების შემთხვევაში, ორგანიზაციის კომპიუტერებზე ინტერნეტიდან შემოსული მავნე ფაილებისა და ვირუსების რაოდენობა მაქსიმალურად მცირდება. ასევე, უკვე დაინფიცირებულ კომპიუტერებს აღარ შეეძლებათ ჰაკერების მიერ კონტროლირებად მართვის ცენტრებთან დაკავშირება.

“განახლებული სერვისი კარგი საშუალებაა, რათა ორგანიზაციებს ჰქონდეთ სრულყოფილი ინფორმაცია დაინფიცირებული IP მისამართებისა და ვებგვერდების შესახებ. ამ ინფორმაციის გამოყენებით ისინი შეძლებენ თავი აარიდონ საფრთხის შემცველი რესურსების საკუთარ ქსელში გავრცელებას”, - დავით ქვათაძე, სამთავრობო კომპიუტერულ ინციდენტებზე სწრაფი დახმარების ჯგუფის (CERT-GOV-GE) მენეჯერი.

განთავსებული მონაცემების როგორც ტექსტური, ისე ე.წ. „Zone“ ტიპის ფაილების სახით ჩამოტვირთვა შესაძლებელია შემდეგი მისამართიდან: <http://blacklists.cert.gov.ge/>

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
www.justice.gov.ge

იუსტიციის სახლი
www.house.gov.ge

my.gov.ge
www.my.gov.ge

www.sda.gov.ge

საპარტნიორო ბიზნესული სააგენტო
www.napr.gov.ge

საქართველოს მემორიალი
www.archives.gov.ge

www.nbe.gov.ge

www.notary.ge

საქართველოს საპანონოდაბლო მაცხი
www.matsne.gov.ge

www.eAuction.ge
ელექტრონული აუქციონი



www.tbilisi.gov.ge

„მონაცემთა გაცვლის სააგენტო“ კვალიფიციური სანდო მომსახურების, ელექტრონული სერვისების ერთიანი პორტალისა (MY.GOV.GE) და კიბერპიგიენის შესახებ ტრენინგების ციკლს რეგიონებში აგრძელებს



სსიპ „მონაცემთა გაცვლის სააგენტო“ ბათუმში, ქუთაისში, ახალციხესა და თელავში ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული სანდო მომსახურების სამართლებრივი ასპექტების, ელექტრონული სერვისების ერთიანი პორტალის (My.gov.ge) პრაქტიკული დანიშნულებისა და კიბერპიგიენის შესახებ ტრენინგების მორიგი ციკლი ჩაატარა. ღონისძიება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს“ ორგანიზებითა და USAID/საქართველოს დემოკრატიული მმართველობის ინიციატივის (GGI) მხარდაჭრით მთელი საქართველოს მასშტაბით, წინასწარ

განსაზღვრული გეგმის მიხედვით იმართება.

ტრენინგს სსიპ „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს“ წარმომადგენლები უძღვებოდნენ. ტრენინგის მიზანია საზოგადოების სხვადასხვა ფენისთვის სიახლეების გაცნობა და ელექტრონულ სერვისებთან, ელექტრონულ ხელმოწერასთან და კიბერპიგიენასთან მიმართებით მათი პრაქტიკული უნარ-ჩვევების ამაღლება.

„აღნიშნულ ტრენინგს დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან საქმე ეხება ძირეულ სიახლეებს როგორც ელექტრონულ დოკუმენტზე კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის შესრულების ან/და კვალიფიციური ელექტრონული შტამპის გამოყენების, ისე ელექტრონული სერვისების ერთიანი პორტალზე განხორციელებული მნიშვნელოვანი ცვლილებების მიმართულებით. ჩვენი მიზანია, რაც შეიძლება მეტ ადამიანს მივაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონული სერვისების, ელექტრონული ხელმოწერის შესახებ და ნათლად დავანახოთ ის სარგებელი, რომლის მიღებაც მათი გამოყენების შემთხვევაშია შესაძლებელი. ვინაიდან საქმე ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს ეხება, ასევე გადავწყვიტეთ თავდაპირველი კურსისთვის კიბერპიგიენის მოდულიც დაგვემატებინა, რაც ასევე ძალიან მნიშვნელოვანია. ტრენინგები მთელი საქართველოს მასშტაბით ტარდება, სამიზნე აუდიტორია კი მოიცავს ყველას - საჯარო მოხელეებს, კერძო სექტორში დასაქმებულებს, სტუდენტებს, მეწარმეებს და სხვა“, - **ეკა გორდამე**, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს“ იურიდიული სამმართველოს იურისტი.

კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/შტამპი კომუნიკაციის თანამედროვე ფორმის განუყოფელი ნაწილია და უსაფრთხოების მაღალ სტანდარტებთან შესაბამისობის გამო მისი გაყალბება პრაქტიკულად შეუძლებელია. კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის/შტამპის გამოყენება ამარტივებს ურთიერთობის პროცესს როგორც სხვადასხვა უწყებასთან და მომსახურების გამწევ ორგანიზაციასთან, ისე საქმიან პარტნიორებს შორის.



„მონაცემთა გაცვლის სააგენტომ“ შემოსავლების სამსახურის თანამშრომლებისთვის ტრენინგი ჩაატარა

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს“ ინფორმაციული უსაფრთხოებისა და პოლიტიკის სამმართველოს წარმომადგენლებმა USAID/საქართველოს პროექტთან - "მმართველობა განვითარებისათვის" (G 4 G) ურთიერთთანამშრომლობის ფარგლებში სსიპ „შემოსავლების სამსახურის“ მოხელეებისთვის ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემების შიდა აუდიტის ტრენინგი ჩაატარეს.



ტრენინგის მიმდინარეობისას ძირითადი ყურადღება გამახვილდა ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა მართვის სისტემა, ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის აუდიტის ჩატარება და ორგანიზაციის სარგებელი აღნიშნული მიდგომების გამოყენებით. დამსწრე აუდიტორია ასევე გაეცნო ISO 27001:2013 სტანდარტის მოთხოვნებს, რომელთა დაკმაყოფილებაც აუცილებელია ორგანიზაციაში ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. აღნიშნული სტანდარტის დანერგვას, ხელშეწყობასა და აუდიტის ჩატარებას კრიტიკული მნიშვნელობა აქვს როგორც საკუთრივ ამა თუ იმ ორგანიზაციისთვის, ისე ქვეყანაში ინფორმაციული უსაფრთხოების მაღალი დონის მიღწევისა და შენარჩუნებისთვის.



სსიპ „შემოსავლების სამსახურში“ ჩატარებული ტრენინგი ასევე მოიცავდა პრაქტიკულ მაგალითებს, რომელთა გამოყენებამაც მეტი სიციხადე შეიტანა სტანდარტის მოთხოვნების მნიშვნელობის ილუსტრირების თვალსაზრისით.

სსიპ „მონაცემთა გაცვლის სააგენტო“ მსგავს ტრენინგებს რეგულარულად ატარებს როგორც კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტებისთვის, რომელთა გამართულ და უწყვეტ მუშაობას ქვეყნისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს, ისე იმ კომპანიების წარმომადგენლებისთვის, რომლებზეც არ ვრცელდება „ინფორმაციული

უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მოთხოვნები, რათა ამ ორგანიზაციებში გაუმჯობესდეს ინფორმაციული უსაფრთხოების შესრულების ხარისხი და, ზოგადად, სტანდარტები შესაბამისობაში მოვიდეს საერთაშორისო ასპარეზზე აღიარებულ ნორმებთან.

ინფორმაციულ უსაფრთხოებაში ტრენინგების კურსი შემუშავებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს“ ინფორმაციული უსაფრთხოებისა და პოლიტიკის სამმართველოს მიერ.

იხილეთ ჩვენი საიტები

www.dea.gov.ge; www.my.gov.ge

მონაცემთა გაცვლის
სააგენტო

უნივერსიტეტის ქ. 50
თბილისი 0102, საქართველო
ტელეფონი: (+ 995 32) 291 51 40
ელფოსტა: info@dea.gov.ge

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

მონაცემთა გაცვლის
სააგენტო



თუ ხართ ახალი მომხმარებელი ან კვლავ გსურთ საინფორმაციო ფურცლის გამოწერა, გთხოვთ გამოაგზავნოთ ელექტრონული შეტყობინება მისამართზე: info@dea.gov.ge და სათაურში მიუთითოთ **“Subscribe”** ან დაარეგისტროთ თქვენი ელექტრონული ფოსტის მისამართი ვებ გვერდზე: www.e-government.ge

თუ არ გსურთ, მონაცემთა გაცვლის სააგენტოს საინფორმაციო ბიულეტენის მიღება, გთხოვთ